ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 266/1
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

„27“ „ნოემბერი“ 2015 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო** (შემდგომში„მიმწოდებელი”) წარმოდგენილი თავმჯდომარის **ირაკლი ქაშიბაძის** სახით და მეორე მხრივ, **სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში„შემსყიდველი“), წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის სოფიო ტურიაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის **2014 წლის 09 ოქტომბრის №1831** განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია: სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლებისათვის ტრენინგის (ბიზნესის, გაყიდვებისა და მართვის ეფექტიანობა) ორგანიზების **(CPV კოდი - 80530000)** მომსახურების შესყიდვა დანართის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **627.72 (ექვსასა ოცდაშვიდი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი)** ლარს.

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. დაფინანსების წყარო - (საკუთარი შემოსავლები).

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია უზრუნველყოს:

4.1.1. ტრენინგის ორგანიზება და ჩატარება 2015 წლის 28 ნოემბერს, შაბათი 9:00 სთ-დან 15:00 საათამდე, შპს „ალიანს ჯგუფი კაპიტალი“ ქ. თბილისი, კოსტავას ქ 47/57.

4.1.2. მსმენელი შესაბამისი სასწავლო და სატრენინგო მასალით;

4.1.3. მასტერკლასის სპეციფიკის გათვალისწინებით, ყველა აუცილებელი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროცესების დასრულების შემდგომ გასცეს შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი;

4.1.4. შემსყიდველის პრეტენზიები განხილვა და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.5. ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

შეთანხმებულია იურიდიულ
დეპარტამენტთან

4.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

4.2.1. სატრენინგო პროცესის დასასრულს უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2. კონტროლს განახორციელებს: სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ხათუნა გვილავა.

5.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ნაკლიანი მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს ნაკლიანი მომსახურება ან თუ ამ მომსახურების გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

6.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ ,,საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" უფლებამოსილი წარმომადგენელი და სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ხათუნა გვილავა.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულების ერთიანი გადახდა, შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

შეთანხმებულია იურიდიულ
დეპარტამენტთან

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5. ამ მუხლის მიზნებისათვის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ განიხილება ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატი არ დაესწრება სასწავლო პროგრამას, ვერ მიიღებს შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერთიფიკატს;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია **ორი** თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი

სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო წარმოდგენილი თავმჯდომარის ირაკლი ქაშიბაძის სახით,

მისამართი: ქ.თბილისი, სულხან-საბას 9.

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა,

კოდი:TRESGE22,

სახაზინო კოდი - 707277063

ს/კ – 204582521

ირაკლი ქაშიბაძე

შემსყიდველი

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო: წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის სოფიოს ტურიაშვილის სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ 12

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა,

ა/ა № GE24NB0330100200165022

კოდი:TRESGE22

ს/კ - 205005910

სოფიო ტურიაშვილი

შემოწმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან

27 11 2015 წ.

04 5 ფურცელი

დანართი

N	სახელი, გვარი	პირადი N	ერთეულის ღირებულება
1	ეკატერინე სისაური	01023005347	313.86
2	ეკატერინე დანელია	01036000688	313.86

სულ: 627.72 ლარი

შემსყიდველი:
ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო
შესყიდვების სამსახურის უფროსი

/სოფიო ტურიაშვილი/

მიმწოდებელი:
სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების
სააგენტო
თავმჯდომარე

/ირაკლი ქაშიბაძე/